

ნ.ბ. მ. აბაშიძისა





ცოლი: — ასეთი რა დაგესიზმრა?!.  
ქმარი: — ის წყეული ოცდაათიანი წლები..

● **გოქლოვის** წესრიგის სამსახურში რიგანი იარაღია, მაგრამ ურიგო ისაა, რკინას ვენდობით და ადამიანს — არა.

● **ბიურსკრატმა** მუშაობის სტილი შეცვალა — თუ ადრე შემოსულ განცხადებებს მაუდის ქვეშ ინახავდა, ახლა გულის ჯიბეში იდებს... მშრომელთა საჩივრების გულთან ახლოს მიტანის მიზნით.

● **შაქითხვაზე** — მომხვეჭელმა სინდის-ნამუსიც რომ მოიხვეჭოს, ამის შესაძლებლობაზე რა აზრისა ხარო, ბრძენმა ჩაუანდაზა: იანვრის ყინვას რად უქებ ივლისსო, ნავი და ურემი განა ერთად ივლისო?

**ზალვა სულამანიძე**  
(ქ. ტყიბული)

## საკრტულ ტალღაზე

**ლონიარ** ათლექტა შეჯიბრებისას ერთმა მათგანმა მუშტის დარტყმით ათი აგური გატეხა, მაგრამ რეკორდი არ ჩაეთვალა: აგური საბჭოური წარმოებისა აღმოჩნდა!

**გფრინავ** მეთხილამურეთა ასპარეზობაზე ერთმა მათგანმა წინას რეკორდი გააუმჯობესა: თოვლის საფარზე ოთხჯერ უფრო სწრაფად დაეშვა.

**ქართველმა** გულალმა მოცურავემ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ცურვაში: მთელი დისტანცია ამერიკელი მოცურავის გულზე გაცურა.

**ქოკით** მსტომელმა დაარღვია შეჯიბრების წესი: 6 მეტრი და 10 სანტიმეტრი სიმაღლე უჭოკოდ გადალახა.

**ზარიაკოგაში** ასპარეზობის ფინალი მათ ხსოვნას მიეძღვნა, ვინც ფინალამდე ვერ მიიღწია.

**გოლის** გასატანად საკმარისი არ არის კარში მოვახედროთ ბურთი: მეკარესაც უნდა ავაცილოთ!

**სანგრაქლივი** ოპერაციის შედეგად მთამსვლელს ფეხი გადაურჩინეს, თვითონ ის ვერ გადაარჩინეს.

**ზუაისგაგორცნელი** მსაჯის მიერ მანძილის გაზომვით უმაყოფილო დარჩა და შემდეგ ცდაზე მას ტყორცნა შუბი.

**გსოფლიო** პირველობაზე მოჭადრაკეთა ფინალური მატჩის თხუთმეტი პარტია ყიმით დამთავრდა. მეთექვსმეტე ყიმი ხვალ შედგება.

**ბირთვისგაპრალთა** შეჯიბრებისას ორი ბირთვი ერთმანეთს შეეჯახა ჰაერში. გამოყოფილი ენერგია გაჭიანურებულ მშენებლობებს მოხმარდება.

**პირუ ლელია**

## დილოგები

— რატომ ტოვებთ ერის მომავალს უმინაწყლოდ?  
— აბა, რა ვქნა, გეთაყვა, ფულიანი საქმეა და ხელიდან როგორ გავუშვა?!

\*\*\*

— ქართულ მინაწყალს გადამთიელებზე რომ ყიდი, მამაშენის ქონება ხომ არ გგონია?  
— სამაგიეროდ ჩემს მეგვიდრეებს დიდძალ ქონებას ვუტოვებ!

\*\*\*

— შე იუდავ, მინებს ყიდი?! მერედა, სინდისი სადა გაქვს?!  
— სინდისს ფული მირჩენია!

**გივი კილაძე**

**ოჰ, სტალინ, სტალინ, სტალინ!..**

ორღობებიდან ოხვრა ისმის ქალის და რძალის, — არ იწველება ძროხა, შენი ბრალია, სტალინი!

თუმანი გახდა ქინძი, კიტრი და მუავე ფხალი, წყევლა-გინება ისმის — ოჰ, სტალინ, სტალინ, სტალინი!

ტმღე-რადიო-პრესა ბობოქრობს მთელი ძალით!.. პუშკინის შკვლელობასაც დაგაბრალებენ, სტალინი!

ფეხი დაგადგით საფლავს, ცეცხლი მოგინთეთ რვალის, საშველი მაინც არ ჩანს — ვერ მოვიშორეთ ვალი, ჭერში ჩამოგვდის წყალი! — შენი ბრალია, სტალინი!

ბათუმი მიაქვს ხანძარს, ცაბ სწვდება მისი ალი და ეს ხანძარიც, ალბათ, შენი ბრალია, სტალინი!

**ზოთა როყვა**  
(ქ. ბათუმი)

## სალადო სალადო

შემოქმედო ნაღვე ნაღო,  
ანუ უნაღვესო,  
მოგილოცავ, ძმაო ლაღო,  
დაბადების დღესო!  
ომს, ტყვეობას, ტყვის სეტყვას  
გადაურჩი როცა, —  
საგულაგოდ გაგიმეტა  
ბანდამ უგულოსა..  
საქართველოს სამარადოდ  
იღვწი, იწვი, ნათობ,  
სულდიდოდ და გულდიადოდ,  
ლაღო უღალბოც!

შენისთანა ხათნო, ხანდო  
კაცი, — ვფიქრობ ზოგჯერ,  
ან არ უნდა დაიბადოს,  
ან არ უნდა მოკვდეს!  
შენი სიტყვა მკურნალია,  
წამალია, ლაღო!  
რომ ავტორობ უურნალ  
„ნიანგს“,  
გმადლობ, კიდევ გმადლობს  
ზაურ ავლაძე

## რაც მოგივა, დაკითხო...

აფხაზეთში ჩამოსახლებულმა რუსმა დედაკაცმა ტელევიზიით ქართველებს მოგვმართა: „თუ არ მოგწონთ აქაურობა, აიღეთ ბილეთები და წადით აქედან!“

წამოსულხარ ციმბირიდან, ურალიდან, ვოლგადან,  
საქართველოს მზეზე დაწვა, გაფიცება მოგინდა!

ულალატე ვოლგას, ციმბირს და მშობლიურ ურალსაც,  
აქ სახლობ და სამშობლოზე გაიძახი „ურასა!“

სტუმრის ვალი დაგავიწყდა, — რისი სტუმრის ვალიო?!  
ნუ იჩემებ, — ჩემიც არის ეს მიწა და წყალიო!

თუ არ მოგწონს ჩემთან ყოფნა, ადექი და წადიო!  
მე ციმბირში მაგზავნი და შენ აქ დარდიმანდიობ?!

მდევედა შენი წინაპარი ხიშტითა და ზარბაზნით,  
შენ უხიშტოდ დაგიპყრია ჩემი ციხე-დარბაზი!


გადმოწიე აქ საზღვარი ციმბირის და ურალის  
და სიტყვაც კი მომახალე ჩემი დასამდურალი!

ახი არის ჩემზე, ჩემი ადათ-წესის ბრალია!  
ისიც ვიცი, ქალი ქვეყნად განა ყველა ქალია?!

ისიც ვიცი, ყველა რუსი განა ნაღდი რუსია?!  
შენთვის უფალს სამეგობრო ნიჭი არ მოუცია!

დაწანწალობ, მიგიგდია კერია და მამული,  
და დედ-მამა დაგვიწყნია მზეში დამწვარ-გამურვილს!

ვაი, ჩემს თავს, ვრჩები ახლა შენთან ამ იგავითა:  
„რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითა!“



მეგობრული შარუი  
ბელა დურგლიძისა

## გააფხაზებულ ქართველებს

თქვენ ფხვებს მოსწყდით!.. უფხვო ხეთა  
ულორტები სხვათა თოვლით დაზრება!..  
თუ ქართველებად აღარ ივარგეთ,  
რადღა ივარგებთ თქვენ აფხაზებად?!

თქვენ უარყავით მამა-პაპათა  
წიხი ხაერო და ხარაინდო!..  
რაკი თვისტომებს თქვენ ულალატეთ,  
სხვა ტომს, ფლაღებო, ვითლა დაინდობთ?!

გათორებულმა ვინ იქართველა?!  
გათორებულმა ვინ იათარა?!  
იუდას ვერცხლი ვის შერგებია?!  
იუდას ვერცხლთან ვინ, ვინ გამთბარა?!

მშობლიურ ენით სათქმელს, რეგენწო,  
როგორღა იტყვი თქვენ აფხაზურად?!  
თქვენ არად გიჩანთ ქეთევანი და  
ყელთან ციხე რო შეახმა ზურაბს!

ახლა აფხაზობთ და მოუწოდებთ  
აფხაზებს, — მოძმე ტომი დარისხონ!  
ავაჭრებულხართ ეროვნულ სისხლით  
და სარგებელსაც მით ანგარიშობთ!

შემოგედებათ მღერი და ქეცი  
მკერდზე — ეკლებით ნაკაწრ-ნაფხანზე!  
თქვენ ისე გაღვევთ ამ წუთისოფელს,  
ვერც იქართველებო, ვერც იაფხაზებო!..

და ისე წახვალთ ამა სოფლიდან,  
თქვენთვის, როს მიღვევთ მიმქრალ იმედებს,  
მოლალატენო, მამულის მიწას  
საფლავებადაც ვერ გავიმეტებთ!



შაქარი იყიდო თურმე, მაგრამ შაქარი არ არის!.. ტალონები ბევრი აქვთ, რაც მართალია, მართალია! სად იყო ბანანი და ნორჩი ყლორტები?! სად იყო ეს ლურჯად მოლივლივე ცა და გალიმებული მზე ან ეს მოკისკისი ნაკადული?! ზოოპარკში ონკანებს ხახა უშრებათ. აი, შეხედეთ, ეს არის ადამიანის საჩუქარი. — თავზე ხელი დაილო შიშპანზემ. — აქ სიკვდილი გერჩიოთ ადამიანებთან ყოფნას! თვითონაც თავიანთი თავი გასკირვებიათ ადამიანებს — მაიმუნობისკენ უჭირავთ თვალი!

შიშპანზე ძლივს იდგა ფეხზე, ნერვულობდა. დედა მაიმუნებმა პატარები მიიკრეს მკერდზე. შიშპანზემ სული მოითქვა:

— ვითომ, უხუცესო, ადამიანობა აჯობებდა?!  
შიშპანზე თავის ადგილს დაუბრუნდა.

უხუცესი დუმდა.  
ღრიალამ ღრო იხელთა და ერთი ნახტომით გაჩნდა ტრიბუნასთან.

— ძნელია, მეგობრებო, ჩემი გამოსვლა შიშპანზეს შემდეგ, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ვთქვა! შიშპანზეს თავის სატივიარი ალაპარაკებს!.. აბა, შეხედეთ, რა კარგად ცხოვრობენ ადამიანები! მე მშურს მათი! — სოფლები, ქალაქები, სასმელი, საკმელი!.. ადამიანი ნამდვილი ღმერთია ამ ქვეყანაზე! ღმერთებს კი ცოდვებიც მიეტევებათ! ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წინაპრები ვიყავით ხომ არ იყვნენ, რომ გაადამიანდნენ?! გვეყო მაიმუნობა!

ტაში აღარავის შემოუკრავს. ღრიალამ ამაყად გადახედა სამაიმუნეთს და მიიმედ გაემართა თავისი ადგილისკენ.

უხუცესი დუმდა. დაძაბული ქუთუთოების ღრიჭოდან მოავლო თვალი თანამომეტ და ფიქრებში ჩაიძირა. ვიღაცა წინ მიიწევდა ტრიბუნისკენ, ვიღაცა აკავებდა!..

ღრო იყო! საქმეში ჩაერია:  
— წყნარად! ვისაც გინდათ, გამოდით, ბოლომდე მოგისმენთ!

გასოვდეთ, რომ ეს მაიმუნების თავყრილობა და არა ადამიანებისა! ორიოდე ორატორი კიდე გამოვიდა. ყველას გადაამიანება ეკერა პირზე. დაილაუნენ. მაიმუნები მალე ილღებიან. არ უყვართ ყბედობა. კამათი მიინავლა. ყველა უხუცესის გამოსვლას ელოდებოდა. თვითონაც გრძობდა ამას და არ ჩქარობდა. აზრებს ვით ისაგებდა. ბოლოს წამოდგა, შუბლზე გადაისვა ხელი. ბეჭები ერთიანად დართვილოდა. ნელა მივიდა ტრიბუნასთან.

— მომისმინეთ! რაც გულში მაქვს, იმას გეტყვით! გაადამიანება გწადათ?! კეთილი! თვალი გავადვენოთ ადამიანების ისტორიას! ადამიანების ისტორია სისხლის ისტორიაა!.. სიკვდილიც ადამიანის მოგონილია!.. ღმერთიც ადამიანის მოგონილია!.. ტყუილიც ადამიანის მოგონილია!.. კაცი ლამაზ ტყუილს ვერ იტყვის ღმერთის ვარეშე!.. ამიტომაც მოიგონა ღმერთი! კაცის მთელი ცხოვრება სიტრუის მორევი! ადამიანობა თქვენ ადვილი ხომ არ გგონიათ?! ადამიანობა რომ შესძლო, ორჯერ მაიმუნი მაინც უნდა იყო! შიშპანზემ ზოოპარკი ასხენა. ზოოპარკიც კაცის მოგონილია! ზოოპარკში ვითომ იცინიან ადამიანები! უარესი ზოოპარკებიც მოიგონა კაცმა! იქაც იცინიან ადამიანები! იქ კი სსსსცილო არაფერია! იქ უნდა იტირო მხოლოდ! ადამიანები იშვიათად ტირიან! ტირიან მაშინ, როცა გულში იცინიან! ეს ამჟამად ასეა! წინათ რა იყო, არ ვიცი!

ახლა თვალი გავადვენოთ ადამიანების ცხოვრებას! ადამიანები ჩვენსავე ტყეებში როდი იბადებიან! ადამიანები სამშობიარო სახ-

ლებში იბადებიან! დაბადების დღიდან სულ ფულს იხდიან!.. მთელი მათი ცხოვრება ფულის ძებნის ეკალბარდინი და ლაღაღადინი ციკაბო ბილიკია! დიბადა ადამიანი!.. მერე საბავშვო ბავშვი, სკოლა. ისევ ფულს იხდიან! ესეც არაფერი! მერე უმაღლესი! აქ ფულში წყდებიან! თუ გაუმართლათ, კი გრძელი ხუთი წელიწადი უნდა დაელოდებოდნენ! თუ ამასაც გაუძლებს, კაცი გამოდის ცხოვრების ბრუნველზე. ასე უძახიან ადამიანები ცხოვრებას. კაცი გამოვიდა ამ გზაზე, თუ ადგილი იპოვა, მისი ჯამაგირი თვეში 100-120 მანეთია. ეს, იცით, რამდენია? ერთი კონა ნორჩი ყლორტები თუ მოგივიათ!.. რა ქნან ტალონების ქვეყანაში?! იწყებენ მუშაობას და მერე იწყება მათი ნამდვილი მაიმუნობა! თუ არ მაიმუნე, ვერ იცხოვრებ! არის გამოწევისკენ: ზოგი ადამიანი უკვე მაიმუნად იბადება!.. იმას რაღა ეშველება?! ასეთები იოლად გადიან ფონს! ისიც უნდა გითხრათ, რომ ყველა როდი იწყებს მაიმუნობას, ადამიანობას ყველა როდი კარგავს! ასეთ ადამიანებს ბრიყვებს ეძახიან! ჰო, ნამდვილ ადამიანებს ბრიყვებს ეძახიან! ამ ბრიყვებს გამაიმუნებული ადამიანები ასხედან თავზე!.. სიტყვა რომ არ გამოგჩქელდეს, ადამიანების უმრავლესობა მაიმუნობით ამთავრებს თავის სიცოცხლეს! აბა, ამის შემდეგ რა ყურია ადამიანობაში?! ნუთუ ღირს გადაამიანება იმისათვის, რომ ბოლოს მაინც გავმაიმუნდეთ?! თუ ჩემს ჰალარა ზურგს ენდობით, ეს ასეა!

უხუცესი დაჭდა.  
ცივი წყალი გადაესხათ მაკაკას და ღრიალას, კიდეც სხვებს. მაკაკამ მაინც გამოაჩინა ღჯოლები:


— მაშ, რატომ გაადამიანდნენ, უხუცესო, ჩვენი წინაპრები?  
— თავი დაანებეთ წინაპრების ლამაზობას! ესეც ადამიანების საქმეა! ვისაც ჩააცემე, იმან უნდა გაგხდოს! უმადურობაც კაცის მოგონილია! რატომ გაადამიანდნენ ჩვენი წინაპრები? გეტყვი: გაადამიანდნენ იმიტომ, რომ ისევ მაიმუნობას დაბრუნებოდნენ! მე ჩემი მითქვამს! თითო-ორიოლა ბრიყვი რა მოსატანია! ვანა ბრიყვობას მაიმუნობა არ გვიჩქევნია?!  
შედედა თავყრილობა.

არც რუზოლუცია მიუღიათ, არც დადგენილება წაუკითხავთ, არც კენჭი უყრიათ და არც მოსაწვევი ბარათები უფრიალებიათ! — უბრალოდ გადაწყვიტეს და მაიმუნები მაიმუნებად დაჩინენ!



# ცხოვრების დონის ახალღების ბრუნვა

ნ.ბ. მ. კუციანი









პირველი რაუნდი

### საპაიდარო

სულ ერთია, წვიმდა თუ იღვა კაი დარი —  
შიშნოობდა თეთრ სახლთან დოქტორ შაიდარი!  
ისე სუსტად ჩანდა და ისე გამხდარიყო, —  
მთელი ჩვენი ქვეყანა დარდით აღარ იყო!..  
უჭმელობით იმდენი კვირა გაატარა, —

ვიღვრებოდიტ ცრემლებად დიდი და პატარა!..  
კი მოშავდა ეს ჩვეულ ფარსს თუ პაროდის,  
შაინც ვეხვეწებოდიტ: ჩვენთან ჩამოდიო!  
... რას ვეპატიუებოდიტ, ვათამასუქებდიტ, —  
ჩვენთვის რომ არ გვეოფნიდა, რით გავასუქებდიტ?!

თამაზ აბანოძე

### კანსუხი

ჩამი მეგობარია ტატი ტატიშვილი — ფოსტის გამგე და  
ჩინებული ქართველი მანდილოხანი.

— „ლიტერატურული საქართველო“ მაკლდება ხშირად, ქალბატონო ტატი! — ვეუბნები.

— „სახალხო განათლება“?

— ისიც!

— „ახკომი“?

— ისიც!

ტატი წრდილობიანი ქალია და თვალბეში არ მიყურებს, ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკება და თბილს ჰამს.

— მართალი ვითხრათ, მეზობელ ქალაქში დავდივარ ნაცნობთან და იქ ვწოლოლობ თითო მანეთად!

— ძვირი არ უოფილა! — მეუბნება ქალბატონი ტატი და თბილის ნარჩენს ურნაში ყრის.

— არა, მაინცდამაინც ცეცხლი არ უკიდა, მაგრამ 5-6 მანეთი მაინც მიჭდება!

— თუ როგორ?!

— სამარშრუტო ტაქსს მივყვები ხოლმე! იქით — მანეთი, აქეთ კიდევ — მანეთი, ამას დაუმატი გაზეთების ფული!.. ახლა გვერდით არ დამიჭდება ვინმე ნაცნობი და არ გადავიხდი მის მაგივრადაც?!

— შეუკა კაცო, რაღა მაგ სამარშრუტოს აკლავ თავს, წადი ჩვეულდებრივი ავტობუსით! — მირჩევს ეს განათლებული ქალბატონი და, ვატყობ, ცუდი რჩევა არ არის!

### ოღონდაც ნუ დავგვემდურებაინა!

სოფელ ვეციოლოეში, ფსოუს მარჯვენა სანაპიროზე, ცხოვრობენ ჩვენი ოჯახის ნათესავები, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა გვაქვს.

ამ ზაფხულს დიდიან-პატარიანად გვესტუმრნენ ისინი და, დასვენება რას გვიქვიანო, პირდაპირ ჩაის პლანტაციებში გავარდნენ.

ვეციოლოეში გამგზავრების წინა დღეს სტუმრებს ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკიდან ამოღებული 80 ცალი წიგნი აღმოაჩნდათ ჩანთებში..

მართალია, 80 ცალი წიგნის „აწაბუნა“ არც ღირს სალაპარაკოდ, მაგრამ ჩვენს ბიბლიოთეკას, რომლის ფონდი ათასამდეც ვერ დავწევს ჭერჭერობით, ძალიან დაეტყო იგი.

ნათესავები გაგვინაწყენდნენ, — რატომ შეამჩნიეთ დაცარიელებული თაროები, რა ეწევი დაგაჯღათო მხრებზე?!

ჩვენი სურვილია, „ნიანგის“ საშუალებით მოვუხადოთ მათ ბოდიში და ვუთხრათ: „წაიღეთ, კიდევ წაიღეთ წიგნები, ოღონდაც ნუ დავგვემდურებით, ოღონდაც ნუ გვლანძღავთ ნათესავები!“

იკოლიტა გამსახურდია  
(გალის რაიონი, სოფელი ჭუბურხინჯი)



გავიხარიათ, პატარა ძალადგოთ მოართულია ამაშის რაიონული ცენტრის დეკორირებულ თვალს არ გამოეპარება ადრინდელი კოსმეტიკის გავლენა, მაგრამ, მახლას, მტერს ხომ უნებს თვალს!

მოკეთეს კი... მოკეთეს, ჰედურობა დაატყვევებს, სხვა ღირსშესანიშნაობას რომ თავი დაეანებოთ და, უბირველეს ყოვლისა, ასეთი ფირნიში: „ბოსტნეულის სასაღილო“. ყოჩაღ! — აღმოგვდებათ უნებლიეთ. — უფიქრით აქ ვეგეტარიანულზე! ყოველ შემთხვევაში, ამდაგვარწარწერაიან კვების ობიექტს ბევრს ვერ ნახავთ რესპუბლიკაში!

სანამ მოშლილონჯიანან, საეჭვო სისუფთავის მქონე პირსაბანში ხელს გადაისველებ და ვეგეტარიანული სასაღილოს გამხსნელთა მიმართ ორიოდ სააღერსო ფრახას მოამზადებდე, შედიხართ დარბაზში..

ღმერთო ღიღებულო! რამდენი მაგიდაცაა, იმდენი ღვინისა და არყის ბოთლების ზედახორაა, ხოლო რამდენი სკამიცაა, იმდენი შექვიფებული მომხმარებელია! ამ გარემოებას მნიშვნელობას არ ანიჭებ, რადგან დასაშვებადაც კი მიიჩნევ ნიგვზით შენელებულ ფხალეულს ან ძმრითა და წიწკით შეკმაზულ მწვანე ლობიოს კაცმა ერთი-ორი ჭიქა ღვინოც რომ დააყოლოს! „რას მიირთმევენ ნეტავ?“ — დაგებადებით კითხვა და ცოტა უხერხულობას იგრძნობთ, მაგრამ სუფრებს მაინც გადაავლებთ თვალს: მწვადი, ხაშლამა, ყაურჩაი.. და, წაშლად რომ გინდოდეთ, ერთ ღერ

# ხუმრობა აბაშურად

ფელაქონი

მწვანილს ვერ დაინახავთ!.. შუა შემოდგომა გახლდათ და ჩვენი გაცეცხავ იმან გამოიწვია, რომ წლის ამ დროისათვის პამიდორის ჩვენებური, უბრალო სალათაც რომ არ ჰქონდათ!..

მოგვხსენებთ, ჰამა გემოვნების საკითხია, ამიტომ სრული შესაძლებელია, ამ პატიოსან ხალხს ხორცეული უყვარს და ბოსტნეული იმდენად არ შეუყვებოთ!.. დახლიდართან მივდი და ბოსტნეულის კერძები მოვთხოვე.

— არ გვაქვს, ბატონო!

— მწვანელიც?

— მწ!..

— კი მაგრამ, „ბოსტნეულის სასაღილო“ რომ ჰქვია?!

— არ ვიცი, ბატონო, ახალი ვარ მე!

ჩვენს დილოგს, რა თქმა უნდა, დარბაზში მსხდომებმაც მოკრეს ყური, ერთ-ერთი მაგიდიდან დარბაისელი გარეგნობის კაცი წამოდგა და კოლხური ზრდილობით მომმართა:

— ნუ შეგვაწუხებთ, ბატონო, მაგ ბალახულახის გამო! თუ პატივს დაგვდებთ, მობრძანდით და დაგვიღიეთ!..

მაღლი მოვახსენე და აკვირებული ბოსტნეული ვუხსენე.

— ხუმრობაა, ბატონო, ეს! ერთ-ერთი აბაშური ხუმრობათაგანია! **ბოსტნეულის სასაღილო** — ჩაიცანა. — ესე, თუ გვეჩქარებდით, აქ მწვადი მიირთვით, ქუთაისში მწვანილი დააყოლეთ და რაკი პამიდორისთვის იკლავთ თავს, თბილისში იყიდეთ, პამიდორის მეტი რა შემოაქვთ გარდაბან-მარნეულ-ბოლნისიდან?!

ვერ მივიღე მიპატივება, რითაც, ალბათ, გული ვატყინე იმ ზრდილობიან კაცს. რაკი ვეშორი შევიარე, იქნებ იქ დავადგინო სასაღილოს ნათლობისა და სახელწოდება-საქმიანობის ასეთი დამორიშორების მიზეზი-მეთქი. არა, მიზეზს როგორ არ მივხვდი, მოგება და სარფი გახლავთ ამ შესაბამისის წყაროსთვალი, მაგრამ ეს ბრალდებაა და სანამ ამ ბრალდებას დაეამტკიცებდეთ?..

რაიკავშირში ხელმძღვანელი მოვიკითხე.

— თავმჯდომარე არ არის! — მითხრეს.

— მოადგილე?

— გასულია!

— საზღვების დირექტორი?

— თბილისშია!

ალბათ პამიდორის ჩამოსატანადა! — გავიფიქრე და დირექტორის მოადგილე მოვიკითხე.

— მოადგილე, პროკურატურისა და მილიციის მუშაებთან ერთად, ქსელში არის, ალკოჰოლიანი სასმელების გაცემის დროსა და ოდენობას ამოწმებენ!..

ფრად კეთილშობილური მისია უკისრიათ-მეთქი, გამიხარდა და ჩემს მასპინძელს, საზღვების ბულალტერიის მუშაკს დავემშვიდობე.

— მოგეცადათ, ბატონო! — შემომთავაზა იმ მანდილოსანმა, მართლა სახუმაროდ კი არ დაგვირქმევია სასაღილოსთვის ის...

— ღღეს ოცდაექვსი სექტემბერია, ალბათ, კარგი შედეგებით დაბრუნდებიან ქსელში გასული ამხანაგები!

— ღიახ, ასე იქნება! — დამამიედა.

წამოვედი, შევიარე „ბოსტნეულის სასაღილოში“, მივირთვი მწვადი, გამოვიარე ქუთაისში, დაეყოლენ მწვანილი და აგერ თბილისში ჩამოსულმა პამიდორის სალათაც ვიგემე:

აბაშაში რომ არ ესწავლებინათ, მოვახერხებდი ამდენს?

ვთხოვთ ამ ფელეტონის მონორარი გადაურიცხოთ შემოდინიშნული სასაღილოს ახალბედა დახლიდარს, რადგან მან თავი მოიკლა და საღილის ღირებულება არ გამომართვა!

გაგიტოვებთ ახალბედა




— შექარი გაქვთ?  
— ხომ იცით, თვის ბოლო რომაა?! ასე უთავბოლოდ რატომ მოდიხართ?!

ნახ. ბ. ლომიძისა

საქონალი  
საქონალი

741  
21.XI.89

# ეპიგრამები



...  
 გულს დარდი ხრავს? —  
 დალიე და  
 სევდა დიღხანს  
 აღარ გასტანს!  
 სიბერემდე  
 ვინც სვა ლუდი,  
 არ მომკვდარა  
 ახალგაზრდა!..

...  
 ნუ გადაყურწავ  
 საღამოს იმდენს,  
 დილით დაღვევა  
 აღარ მოგინდეს!

...  
 თუ მაგანის  
 სიცოცხლის გზა  
 აღმოჩნდება მოკლე,  
 ვამბობთ:  
 „ლუღმა შოინელა!“  
 ვამბობთ:  
 „ლუღმა მოკლა!“

...  
 თუკი ვინმემ  
 ასი წელი  
 ქვეყნად იწანწალა,  
 ვამბობთ:  
 „ლუღმა შეინახა,  
 ლუღმა მისცა ძალა!“

...  
 მართლა გმირი ხარ,  
 თუკი შესძელი,  
 არ სვა ლუდი და  
 იყო დღეგრძელი!

...  
 — შენი მტერი არაყია,  
 რად სვამ,  
 გინდა ცრემლი ღვარო?  
 — შე ბიბლიური  
 მცნებას მივდეგ:  
 მტერიც უნდა  
 შეიყვარო!

...  
 მე ვენაცვალე  
 კარგ ღვინოს,  
 რაც უნდა,  
 ის თქვას სხვამ!  
 სამოთხე  
 დაგვაკარგვინა  
 ჭამამ და არა სმამ!

### დაღვივის საბაბი

ამა ქვეყნად საბაბი  
 მრავალი ღვინის სმის:  
 დაღვე, თუკი მოყვრისგან  
 კარგი ამბავი ისმის!

შობასა თუ აღდგომას,  
 ქორწილსა თუ ნათლობას  
 შეგნის მაგრად ქეფიფი  
 და გემოზე დათრობა!

ადარიც კი განგაწყობს  
 კაცს ხანდახან  
 თრობისთვის,  
 ან, ვთქვათ,  
 შეგხვდა ძმაკაცი,  
 უნახავი ორი თვის!

ქირის დღეა? — დალიეთ,  
 წესს არ გადაუხვიეთ!  
 სამსახურში მოწყობაც  
 ვერ ჩაივლის უღვივოდ!..

ან ძვირფასი  
 სტუმრისთვის  
 ვინ არ გახსნის,  
 აბა, ბოთლს?!  
 მაგრამ სმა შეიძლება  
 ისეც — სულ უსაბაბოდ!

**გერმანულიდან თარგმნა  
ლევან ბრეგვაძემ**

### აკიასა უიზან...

ამკარად კოკლი  
 ლექსია მართლაც,  
 წაიფორხილებს  
 ყოველი პუკარი!..  
 ისე, ვით ავტორს,  
 ეტყობა მასაც  
 ჩასახლებია  
 ნიკრისის ქარი!

### მოქიფვის კაჯუსი

ვინ გადაჩეხა  
 თოვლ-ქყაპში,  
 ვის ჰქონდა ძალა  
 ამგვარი?!  
 ვინმე რაინდმა  
 კი არა,  
 არაყი გახლათ  
 მაგარი!

### ყველაზე საშიში

— ბრძენო, ეგება მაუწყო:  
 ქვეყნად ყველაზე შეტად  
 უფრო საშიში ცხოველი  
 რომელი არის ნეტავ?  
 — ყური მომაპყარ,  
 მეუფემ:  
 მყის მოგახსენებ,  
 ვინ არი:  
 შინაურებში —  
 პირმოთნე,  
 მტაცებელთაგან —  
 ტირანი!

### განუათლებლობა

ვინც კი შეიტყობს,  
 რას იტყვის,  
 სირცხვილმა

დამწვას ლამის,  
 რომ ელიოტის აქამდე  
 არ წამიკითხავს პუკარიც!..  
 მე მხოლოდ ისლა მინელგნს  
 ამ აღმურს გულის შიგნით,  
 რომ არც ბაირონს აროდეს  
 არ წაუკითხავს იგი!..


### უოუოოოო

არყით გამტყვრალმა  
 თაგუნამ  
 კატის მიმართა ასე:  
 — ხანამ არ  
 დამიკაწრიხარ,  
 აბა, მოუსვი წამსვე!  
 კატა კი როგორც შოიქცა,  
 თვითონ მიხვდებით ალბათ:  
 თათები შემოხვია და  
 ჩაახრამუნა ხარბად!..

### უპანასანელი ნუგავი

ლოთობისგან გაღატაკდა,  
 განუწყვეტლივ სვამდა,  
 აღარ ღარჩა არაფერი,  
 თავის ნეშტის გარდა!..  
 ერთადერთი სანუგავო  
 ისლა იყო მისი,  
 რომ ექიმებს  
 დასასპირტად  
 უანდერძა ისიც!

გერმანულიდან და ინგლისურიდან  
 გადმოაქართულა  
 შოთა ამირანაშვილმა





თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახიანო მუხრ-  
ნეობის სამმართველოს სისტემაში შესრულებულია შიდა  
სისტემების სამუშაოების გეგმის მხოლოდ მან კროცენტი.  
მცირე სიმძლავრის უმცველი მა კვაზიდან მართლ მ უც.  
ვალეს.

— ერთ გაურუმონებელ ქვას კოლოპრა-  
ტიული სახიანოსათვის ხომ არ ღაგვით-  
მოზღიფ?

ნ.ბ. ბ. ლომიძისა



საბიროსა და იუმორის  
ჟურნალი "ნიანბი" №23  
(1801) დეკემბერი. გამოდის  
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ზოლმავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიგვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ქაბუა ამირეჯიბი, ნოზალი  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჭემალ  
ყოლოვა (მხატვარ-რედაქ-  
ტორი). ნოდარ შალაშონია,  
ალექსანდრე ხაშონია, ბე-  
ჟან ხიხარულიძე (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ქანსუდ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფჩივაძე, ნაფი ჯუხთითი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გადეცა ასაწყობად  
2. 11. 89 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 5. 12.  
89 წ. ქალაქის ზომა  
60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბეჭ-  
დი ფურცელი 1,5. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ბანი 1,9. საქართველოს კ  
ცკის გამომცემლობა, ლე-  
ნინის 14. შეკვ. № 2428  
უფ 04710. ტირაჟი 130100.  
ჟურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ბეჭდვითი: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივანის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაყების — 99-02-38,  
მდივან-მე მანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
ствели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ანდექია 18187



ნ.ბ. ბ. აბაშიძისა

— ვინც გათბობის საკითხზეა მოსული,  
შემოუშვიტ, კაბინეტს მაინც გამითბობენ!